პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 47-ე წელი
№ 193 (13587) | ხუთშაბათი, 25 აგვისტო, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

მეშახტის დღის შესახვედრად

ვადამდე — რვა თვის დავალება

პიათიგორსკი. (საკ. კორ.). ქართველმა მაღაროელებმა, რომლებიც თავიანთ უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. ლენინის ორდენოსანმა პიათიგორსკის მარგანეცის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა სასაქონლო მარგანეცას დამზადების რვა თვის დავალება და სექტემბრის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს უკვე გაუგზავნა 50 000 ტონაზე მეტი მარგანეცი. პიათიგორელი მაღაროელები აგვისტოს ბოლომდე დამატებით მისცემენ ხამშობლოს ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვან მარგანეცს.

ახალ ხუთწლედში სამი მილიონი მანეთის დაზოგვას ვარაუდობენ მაღაროელი რაციონალიზატორები. სტარტი როდია ცუდი. ხუთწლედის მარტო პირველ ექვს თვეში შემოსულია 220 რაციონალიზატორული წინადადება. მათი უმრავლესობა დაინერგა ან მიღებულია დასანერგავად.

საუცხო წინადადების ავტორია ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ალ. გაბეჩავა. მისი წინადადებით ფაბრიკაში განხორციელდა პირველი ხარისხის მარგანეცის ავტომატური აწონა. რითაც მარტო ამ ფაბრიკაში წლიურად 2.990 მანეთი იზოგება. განხორციელდა ამ წინადადების სხვა ფაბრიკებში დანერგვა. მაშინ დანაზოგი ექვსჯერ გადიდდება.

სექტემბრის ანგარიშში

ტყიბული. (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ეგებება მეშახტის დღესასწაულს. 19 აგვისტოს სათბობის მოპოვებლებმა სამშობლოს მოახსენეს რვა თვის საწარმოო დავალების შესრულება და ახლა პროდუქციას იძლევიან სექტემბრის ანგარიშში.

მოწინავე სამთო ტექნიკის და შრომის პროგრესული მეთოდების დანერგვით ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 11 კაპიკით შემცირდა. ამ გზით განვლილ შვიდ თვეში მიღებულია 23.500 მანეთი ეკონომია.

... — ... — ...

კარბონატული მადნების გამდიდრების ტექნოლოგიის სექტორის [illegible] შ. ახალედიანისა და გ. ღოთვაძის წინადადებით, რომელიც წლიურად 111.740 მანეთ ეკონომიას იძლევა. მარტო დიმიტროვის სახელობის მაღაროში [illegible] წინადადებათა წლიური პირობითი ეკონომია 180.915 მანეთამდე [illegible].

საყურადღებო წინადადებების ავტორები არიან აგრეთვე ლ. ჩხაიძე, კ. მჭედლიშვილი, ა. ხობუა, გ. ნოსელიძე, ლ. ცუცქირიძე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. სკკპ პროგრამამი, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში ფიზიკური კულტურა და სპორტი მიჩნეულია როგორც ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალება საბჭოთა ადამიანის აღზრდისა, რომელშიც ჰარმონიულად არის შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სისპეტაკე და ფიზიკური სრულყოფილება. უკანასკნელი წლების მანძილზე ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში გარკვეული დადებითი შედეგებია მოპოვებული. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დონე ვერ აკმაყოფილებს გადიდებულ მოთხოვნებს, ხოლო ფიზკულტურულ მოძრაობას მთლიანად ვერ იყენებენ აღმშრდელობითს მუშაობაში. ბევრ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და დაწესებულებაში ფიზკულტურასა და სპორტს არა აქვს მასობრივი ხასიათი. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მასობრივ ფიზკულტურულ მუშაობას, მოსწავლეთა სპორტული ოსტატობის გაუმჯობესებას.

ითვალისწინებენ რა დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ფიზიკური კულტურას, როგორც ადამიანის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვანეს ელემენტს, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიულ კომიტეტებსა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურ საბჭოს გაუმჯობესონ ფიზკულტურული მოძრაობის, როგორც მოსახლეობაში აღმზრდელობითი მუშაობის უმნიშვნელოვანესი უბნის ხელმძღვანელობა. განსაზღვრონ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების კონკრეტული ღონისძიებანი, რათა ფიზიკური კულტურა გახდეს კიდევ უფრო აქტიური საშუალება საზოგადოების ზომიერებისა საბჭოთა ადამიანის მორალურ და სულიერ მოყალიბებაზე, ხელს უწყობდეს მის ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებას და მაღალნაყოფიერ შრომას. მრავალი წლის განმრთელობას და შემოქმედებითს აქტივობას, სამშობლოს დასაცავად იმზადებას.

საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას უნდა ჰქონდეს ნამდვილად საყოველთაო-სახალხო ხასიათი, უნდა ემყარებოდეს ფიზიკური აღზრდის მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას, რომელიც თანმიმდევრულად მოიცავს მოსახლეობის ყველა ჯგუფს, ბავშვთა ასაკიდან მოყოლებული.

სარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, ფიზკულტურულ და სამეურნეო ორგანიზაციებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ თვითეულ საწარმოში, დაწესებულებაში დაინერგოს ფიზიკური კულტურა და სპორტი, როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდების, ადამიანების პროფესიონალიზმის, მუშა-მოსამსახურეთა აქტიური მასვენების პირობების შექმნის ღონისძიებათა განუყოფელი ნაწილი. ამ მიზნით რეკომენდებულია მოეწყოს შრომელთა სისტემატური ფიზიკურ-ტექნიკური სწავლა-გადამზადება, ფიზიკურ-ტექნიკური ... ...

საქართველოს ბიბლიოთეკა

საქართველოს ცხოვრებიდან

საქართველოს ბიბლიოთეკა

საქართველოს ცხოვრებიდან

საკრებულოს ბიბლიოთეკა

საკრებულოს ბიბლიოთეკა

საკრებულოს ბიბლიოთეკა

#

მომჭირნეობა ყველგან, ყველაფერში

ფეიქართა კარგი საქმეები

ყოველი კეთილი დაოსნობა ჩვენს ქვეყანაში ძალიერ ეროვებს ისპამს, მას ეხმაურება მიღლიერობით მშრომელი.

ბევრად თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მოსკოვისა და ლენინგრადის საბრეველო საწარმოთა კოლექტივებმა შესაბამავი ინიციატივა წამოიწყეს. მათ იკისრეს ლეონინისა და მასალების ყიირალი მოხმარების გზით მიღებული დაზოგილი ნედლეულით გაადიდონ პროდუქციის მოცულობა.

ამ პატრიოტულ თაოსნობას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებმა. დაიწყო საყოველთაოსახალხო მოძრაობა მასალებისა და ნედლეულის ეკონომიისათვის. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი პირველი ჩაება თბილისის მაუდ-კამკოლის კომბინატ „სამეფოთა საქართველოს" კოლექტივი. ფეიქრებმა იკისრეს, რომ მატყლის პირველადი დამუშავების წარმოებაში წლის განმავლობაში დაზოგავდნენ 25 ტონა მატყლს, რაც ფულად გამოხატულებით 100 ათას მანეთს აღემატება, მაუდის წარმოებაში დაზოგავდნენ 10 ტონა ნედლეულს ეკონომიას, ხოლო საქსოვ წარმოებაში შარშანდელთან შედარებით დაზოგავდნენ 10 ტონა ნედლეულს. ვალდებულება ითვალისწინებდა აგრეთვე 15 ათასი მანეთის დამამარე მასალების, 300 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიისა და 180 ტონა პირობითი საწვავის ეკონომიას.

მეტად გაბედული ვალდებულებაა, რის განაღდებაც მოითხოვდა წარმოების მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას, ორგანიზატორული და ტექნიკური ხასიათის ღონისძიებების გატარებას და, რაც მთავარია, ასეთი გაზრდილი ვალდებულების შესრულება დამოკიდებული იყო მთელი კოლექტივის თავდადებულ შრომაზე. რესპუბლიკის საფეიქრო პრეწველობის ბევრ მუშაკს აეკვიდა მისი მეარსება. ქონდათ კიდეც ამის საფუძველი. ერთ წელიწადში 60 ტონამდე ნედლეულის და დიდძალი საწვავის მომპარნეობა მართლაც რომ საეჭვო ხდებოდა.

ამ ვალდებულებას რომ იღებდა, კომბინატის კოლექტივი კარგად გრძნობდა, თუ რა დიდ პასუხისმგებლობას კისრულობდა. ჭკონდა თავისი ძალების იმედი, ახალი რეზერვების გამოვლინებისა და ამოქმედების დასაბუთებული გზები. ამ ვალდებულების შესრულებაში ქართველ ფეიქრებს ხელს უმართავდა სკკპ ცეტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით ფართო ასპარეზი იშლებოდა საკუთარი ინიციატივისა და წარმოების რენტაბელური მართვისათვის. ნაკისრის შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში აღმოჩნდნენ კომუნისტები და კომკავშირელები.

გავიდა ახალი ხუთწლედის პირველი სამეურნეო წლის შრომისა და შემოქმედების ექვსი თვე. საანგარიშო დარგის მუშაკებმა ეკონომიური ანალიზი გაუკეთეს კომბინატის მოღვაწეობას.

არის 27.636 მეტრი ზეგეგმითი ქსოვილი, 118.000 მახეთი ზეგეგმითი მოგება. შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელი გეგმით გათვალისწინებულს 5,6 პროცენტით სჭარბობს, გადაჭარბებით არის შესრულებული პროდუქციის რეალიზაციის გეგმა.

მთავარ ყურადღებას მაინც სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ცნობები იპყრობს.

ეი მეტყველი ციფრები.

მატყლის პირველადი დამუშავების წარმოების (უფროსი შ. ლორია) კოლექტივმა წლიური ვალდებულებით გათვალისწინებული 25 ტონის ნაცვლად ექვს თვეში 33 ტონა მატყლი დაზოგა, რაც ფულადი გამოხატულებით 121.600 მანეთს აღემატება.

— დაზოგილი ნედლეულიდან დამატებით რამდენ მეტრ ქსოვილს გამოუშვებთ? — შეეკითხეთ წარმოების უფროსს.

— ასი ათას მეტრს — იყო პასუხი.

და განა მარტო ამ წარმოებაშია ასეთი წარმატება.

კამეოლური წარმოების კოლექტივმა (უფროსი კ. ანდღულაძე) ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული ხუთი ტონის ნაცვლად, ოც ტონაზე მეტი ნედლეული დაზოგა.

მაუდის წარმოებამ ექვს თვეში ათი ტონით მეტი ნედლეულის ეკონომია გასწია, ვიდრე წლიური ვალდებულება ითვალისწინებდა. სულ კი ამ წარმოების ანგარიშზე 20 ტონა ნედლეულის დანაზოგი ითვლება. წარმოების უფროსმა ვ. გამყრელიძემ გვითხრა:

— მომხმარებელს დანაზოგი ნედლეულდან 65 ათას მეტრ ქსოვილს გავუგზავნით, წლის ბოლომდე კი ეს რიცხვი ერთიორად გაიზრდება.

საქსოვ წარმოებაში ვართ.

რიბმულად გეგუნებენ საქსოვი მანქანებები. ქსოვილის სიგრძე ჩვენს თვალწინ იზრდება.

სახელოვანი მქსოველები გულისყურით ეპყრობიან ყოველ მანქანას, დაკვირვებით ამოწმებენ ქსოვილს, რათა ძაფის ჩაწყვეტის ერთი შემთხვევაც არ გამოეპაროთ. ასეთი მუშაობის შედეგია ის, რომ მქსოველთა საგრძნობი ნაწილი მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევა. ამ მხრივ მთელ კომბინატში ცნობილი არიან მქსოველები მაყვალა ბარათაშვილი, იზოლდა ხეციერაული, ლუბა ვოცა, ფალმა საბიძვილი და სხვები. ეს ის სახელოვანი მქსოველები არიან, რომელნიც წლის დასაწყისადან მზოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილს უშვებენ.

სხვა მხრივაც არის მქსოველთა კოლექტივის შრომა სასახელო. ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით შესრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური ვალდებულებით გათვალისწინებული 10 ტონის ნაცვლად 19 ტონა ნართი დაზოგეს, ეს კი 35 ათასი მეტრი დამატებითი ქსოველია, ფულად გამოხატულებით — 140 ათასი მახეთი. საქსოვი წარმოების უფროსი მ. ხებულიშვილი გაბრწყინებული თვალებით გვესაუბრება იმ გზებზე, რომლებითაც ასეთ სახელოვან გამარჯვებას მიაღწიეს.

„ახლა სათბობს არ აკლიხავთ?

„ექვს თვეში 536.400 კილოვატ-საათი ელექტროენერგიის ეკონომია ვალდებულებით გათვალისწინებულ 300 ათასის ნაცვლად და 670 ტონა პირობითი საწვავის დაზოგვა 180-ის ნაცვლად. ბრწყინვალე შედეგი.

საწვავის ეკონომიისათვის დიდი მუშაობა გასწიეს მთავარმა მექანიკოსმა ნ. ივანაძემ და მთავარმა ენერგეტიკოსმა ლ. ფხაკაძემ.

მქსოველი ნოვატორის ბ. თედორაძის კომუნისტური შრომის ბრიგადის ანგარიშზეა 6.000 მეტრი ზეგეგმითი ხამი ქსოველი, რაც ფულადად გამოხატულებით 24.000 მანეთს უტოლდება.

როგორ მიაღწიეთ ასეთ მაჩვენებლებს?

— ვკითხეთ კომბინატის დირექტორს მ. ბაბუნაშვილს.

„ადრეული სწორმა შერჩევამ და განაწილებამ, მათი პროფესიის ამაღლებისათვის ყოველდღიურმა ზრუნვამ განაპირობა რეღწეული. უნდა ვიცოდეთ, რომ როცა მუშაკი დაუფლებულია თავის საქმეს, უკეთ მუშაობს, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმეთ ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად დაცვას და გაუჭირობესებს, მანქანა-დანადგარების ტექნიკური მოვლის ამაღლებას. ნებისმიერ ვალდებულების შესრულებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობად მაინც მიგვაჩნია მუშარმოებლის მატერიალური სტიმულირება. მარტო ის ფაქტი, რომ წელს ექვს თვეში შარშან ამავე პერიოდთან შედარებით მუშის ყოველთვიური ხელფასი 12 პროცენტით გაიზარდა, ნათლად მეტყველებს მუშარმოებლის დაინტერესებაზე უკეთესი შედეგებით, — გვითხრა კომბინატის დირექტორმა.

საუბარში პარტიული კომიტეტის მდივანი გ. კოპლატაძე ჩაერია. მან ხაზი გაუსვა სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილების უდიდეს მნიშვნელობას და გვითხრა:

მუშაობის ახალ მეთოდებზე გადასასვლელად ვემზადებით, ეახორციელებთ მთელ რიგ ორგანიზატორულ ტექნიკურ ღონისძიებებს. ამას წინათ მოგაწყეთ თეორიული კონფერენცია შრომის მეცნიერული საფუძვლების შესახებ. ვსწავლობთ და ვაკვლევთ რეზერვებს. თვითეულ მუშაკს განვუმარტავთ შრომის ახალ მეთოდზე გადასვლის უპირატესობას. ამან და მთელმა რიგმა სხვა ხასიათის ღონისძიებებმა, რასაკვირველია, ხელი შეიწყო ჩვენს კოლექტივს იმაში, რომ მუშაობა წარმართა რენტაბელურად, გადაზე ადრე გაეანაღდებინა ნაკისრი ვალდებულება.

ის-ის იყო საქსოვი წარმოების მოეფანი უნდა დაგვეტოვებინა, რომ საამქროში სწრაფად გაეცლდა სასიხარულო ცნობა. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ნ. ტარასოვი და ამ დარგის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ძ. კულბეკაია იტყობინებოდნენ, რომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვებული გამოვიდა თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატი, რომელსაც მიენიჭა გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სულ ასეთი გამარჯვებებით აღსავსე ყოფილიყოს თქვენი საქმიანობა, სახელოვანო ქართველო ფეიქრებო!

ი. ბეჟაშვილი.

ახალი სასწავლო წლის წინ

შეახვევილი ნორჩების სიხარული

ახარის მაღალმთიანი რაიონის ცენტრის — შუახევის მოსწავლეები ძვირფას საჩუქარს მიიღებენ. ახალ სასწავლო წელს აქ პირველი ზარი ახალი სკოლის შენობაში აწკრიალდება.

ახალი კაპიტალური სკოლის შენობა სამსართულიანია, აქვს ცენტრალური გათბობა, ბავშვთა განკარგულებაში იქნება ელექტროფიკაციული საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, კლას-კაბინეტები, სპორტული დარბაზი.

ახალ სკოლაში 300 ბავშვი ისწავლის. სკოლამ უკვე მიიღო 8 ათასი მანეთის ახალი სახეობრივ ინვენტარი.

შ. მახარაძე.

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ახალი სასწავლო წლის ორგანიზებული შეხვედრა-საუბარს ყველაზეური გაკეთდა ჩაის მრეწველობის ზუგდიდის ტექნოლოგიურ ტექნიკუმში. ტექნიკუმის შენობა ჩირადადნიეთ დგას ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის წალკოტად ქცეულ ეზოში. ფეიქარი, ნაძვარი, ეარდ-ყვავილები, ნაადგილი ბაღნარი ამშვენებს ეზოს, რომელზე აღმართულია ტექნიკუმის ლამაზი ოთახოვანი შენობა. მოსწავლეებს კეთილმოწყობილი ბინდება სასწავლო კოპეტსები, ბიბლიოთეკა, სასადილო, კლუბი და სხვა ობიექტები.

წელს ტექნიკუმში გაიხსნება ეკონომიური დარგი საბუხალტრო აღრიცხვის განხრით.

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ

ზნაურის რაიონის ავნევის საშუალო სკოლა სწავლის დამთავრებისთანავე შეუდგა ახალი სასწავლო წლისთვის მზადებას. დაწყებითი სკოლის მასწავლებლებმა მოაწყეს საუბრო შემოვლები და ზუსტად აღწერეს სასკოლო ასაკის ბავშვები. სკოლის შენობას გაუკეთდა მიმდინარე რემონტი. შეთეთრდა კედლები, ზეთიანი საღებავი შეიღება კარ-ფანჯრები. წესრიგში მოიყვანეს სასკოლო ინვენტარი.

გ. ბეკოევი.
მასწავლებელი.

გაზეთების ფურცლებზე

▲ **ᲐᲮᲐᲚᲘ** სასწავლო წლისათვის სკოლების მოსამზადებლად ბევრ რაზეს აკეთებენ სოფლების ოქმომის, დიხაზურგის, ზეხურის კოლმეურნეობები (თავმჯდომარეები ე. გეთია, შ. გამსახურდია, კ. ელიავა), აჩიგვარისა და მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობები (დირექტორები გ. ჩაჩიბაია, ალ. აბლოთია).

გალის რაიონის 70 სკოლიდან 45 სკოლა ერთ ცვლად მეცადინეობაზე გადავა. საექსპლოატაციოდ გადაეცემა დიხაზურგის საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობა 12 ოთახით. მწყობრში ჩადგება აგრეთვე ზემო ბარლების საშუალო სკოლის სამსართულიანი შენობა.

„ლენინელი".
(გალი).

▲ **ᲙᲘᲓᲔᲕ** რამდენიმე დღე, და ზნაკელელი მოსწავლეები სიხარულით შეაღებენ ზმობლიური სკოლის კარებს. დირექციამ (დირექტორი ი. მიქაუტაძე) სკოლის შენობა თუნუქით დახურა 160 კვადრატულ მეტრ ფართობზე. შენობა მთლიანად შეღებეს, ყველა საკლასო ოთახი შელესეს და შეაკეთეს. საგნით ოთახებიც მომზადებულია მერხები, მაგიდები, კარადები.

ასევე ყოველმხრივ მომზადებული ხედება ახალ სასწავლო წელს ჭყვიშის რაიონული სკოლა, რომლის დირექტორია ნ. დავითულიანი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲐ"
(ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ).

▲ **ᲐᲜᲐᲒᲘᲡ** საშუალო სკოლა დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. დამოავრდა დგამ-ავეჯის რემონტი. ახალი ხელსაწყოებით, იარაღებითა და ლიტერატურით შეიგვსო კაბინეტები, ლაბორატორიები და სასელოსნოები.

მოასფალტებულია სკოლის ეზო, შემოზიდეს 100 კუბური მეტრი შეშა. ხარისხიანი რემონტი გაუკეთდა მთელ სასკოლო შენობას.

ახალი სასწავლო წლისათვის ჩინებულად მოემზადნენ სიღნაღის რაიონის სასკოლო დაწესებულებები, მათგან ტიბაანის, საკობოს საშუალო, წნორის ქართული რვაწლიანი სკოლები, რომლებიც მოთავსებულია ნათელ ბინებში.

„ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲚᲘ",
(ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ).

კოლხიდის სიჭაბუკე

90 ათასი ჰექტარი მიწის ახალი სიცოცხლე

3რცლად გადაშლილა კოლხიდის ველი, რომელსაც 220 ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს. იგი მაგი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარეობს ბათუმიდან გაგრამდე.

ბევრი, ძალიან ბევრი დაწერილა კოლხიდაზე — „ოქროს საწმისის" მხარეზე, რომელიც სიმდიდრით ოდითგანვე იყო ცნობილი. ბერძენი ფილოსოფოსი და ანტიკური მედიცინის მამამთავარი ჰიპოკრატმ მას ასე აღწერდა:

„...ქვეყანა, რომელსაც ჩაუდის ძღინარე ფაზისი (რიონი), არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილია ტყით. მთელი წლის განმავლობაში იქ კოკისპირული წვიმები იცის. იქაური მკვიდრნი ჭაობებში ცხოვრობენ, წყალში იშენებენ სახლებს ხისას ან წუხელისას. ფერი აქვთ ყვითელ-მწვანე, თითქოს სიყვითლით არიან ავად. ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შიგ უყრიათ მთლიანი ხისაგან ამოხვეწილი ნავები და ამ ნავებით უვლიან გარშემო თავიანთ ადგილ-მამულს. ხმარობენ წვიმის წყალს, დუმელასა და სიცხისაგან ამძორებულს".

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა კოლხიდის დაბლობის დიდი სამელიორაციო ღონისძიებები, არხებით დაიქცევა აბაურობა. მძლავრმა სამამულო ტექნიკამ ამოაშრო ჭაობი, პირველ რიგში განიდევნა ადამიანის მტერი — მალარია. ნაჭაობარზე მოვიდნენ ადამიანები, გაჩნდა ახალი დაბები, საკოლმეურნეო სოფლები. ახლა ამ მხარეს ხალხი სამართლიანად უწოდებს აყვავებულ კოლხიდას.

მაგრამ 220 ათასი ჰექტარიდან დღემდე საინჟინრო-მელიორაციული სამუშაოები 74 ათას ჰექტარზეა განხორციელებული. აქედან ათვისებულია 36 ათასი ჰექტარი. მოეწყო ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა ქალაქ ფოთში, ტეხურის საბჭოთა მეურნეობა ცხაკაიას რაიონში, პაკარა ფოთის, ზანათის, სუჯუნის, ჭალადიდის, ახალსოფლის, ქვალონის, ანაკლიის და სხვა მეურნეობები. აბაშის, ხობისა და ზუგდიდის რაიონებში შეიქმნა ათობით კოლმეურნეობა.

მაგრამ საბჭოთა ადამიანი მარტო ამით როდი კმაყოფილდება.

როგორც ცნობილია, პარტიის XXIII ყრილობამ უდიდესი ღონისძიებანი დასახა მელიორაციისა და ირიგაციის სამუშაოების ჩასატარებლად. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმიც.

რა ღონისძიებები ხორციელდება დღეს კოლხიდის დაბლობის ასათვისებლად? ამ საკითხის გასაშუქებლად ვესაუბრეთ ქ. ფოთში საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტს „კოლხიდმშენს".

დღლით ადრე ტრესტის მმართველის ბ. ბბატაშვილს კაბინეტში შეეხვედით მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სპეციალიზებული მექანიზაციის ტრესტის მთავარ ინჟინერს ყ. მიდელაშვილს, ხობის სამელიორაციო მექანიზაციის სამმართველოს უფროსს, რესპუბლიკის დამსახურებულ ინჟინერ-მექანიზატორს ი. ბერიშვილს და კოლხიდის სასოფლო მეურნეობის სამმართველოს უფროსს ბ. ჩუბურიანს.

„კოლხიდმშენის" მმართველი ბ. ეკაბაშვილი დაწვრილებით გვესაუბრა (დიაგრამები და ნახაზებიც მოიშველია) წინა წლებში განხორციელებულ მუშაობასა და კოლხიდის ხვალინდელ დღეზე. შემდეგ კი გადავწყვიტეთ ადგილებზე გავცნობოდით კოლხიდის მშენებლობას, კოლხიდელთა სასელოვნო შრომასა და საქმიანობას.

გავემგზავრეთ ხობის, ცხაკაიას, აბაშის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ეგეგეკორის და ვალის რაიონებში. ყველგან გეგუნებენ სამამულო მელიორაციისა და ირიგაციის ნაგებობებს — მიწისმთხრელები, სკრეპერები, ბულდოზერები, ტრაქტორები. სიცოცხლით სავსე, ჯანმაგარი მექანიზატორები მოუღელავთ მუშაობენ.

მიმდინარე ხუთწლედში 90 ათასი ჰექტარი კოლხიდის მიწა მთლიანად ათვისებულ უნდა იქნას. აქედან 24 ათასი ჰექტარი ახალი დასაშრობი ფართობია. მიმდინარეობს გზების გაყვანა, სასმელი წყლით მომარაგების სამუშაოები. ამ საქმისათვის საჭირო თანხა ორჯერ მეტია დღევანდელ კოლხიდაში დახარჯულ კაპიტალურ დაბანდებებზე.

ციხა და ტეხურს, ტეხურსა და ნოღელას შუა, ნოღელასა და ცხენისწყალს შუა მოთავსებული ბალიეთი ხშირი წვიმებით იტბორებოდა და წყალი თავისუფლად ვერ შედიოდა მდინარეებში. ახლა მდინარე რიონის პარალელურად კეთდება 40 კილომეტრი სიგრძისა და 3,5 მეტრი სიღრმის მაგისტრალური არხი, რომლის სიგანე 15-20 მეტრს აღწევს. ეს არხი გაატარებს 40 კუბმეტრ წამის წყალს წამში. მაგრამ ამ არხს ციხა, ნოღელას და ტეხურს ვერ შეუერთებენ, რადგან ეს მდინარეები წყალუხვი არიან და უეცრად გადაღიან კალაპოტიდან. ამიტომ გადაწყდა არხისათვის აღნიშნული მდინარეების ქვეშ განახორციელონ 10 მეტრის სიღრმით დიუკერების მშენებლობა, რომელთა გამტარუნარიანობა წამში 40-45 კუბმეტრია.

მდინარე ტეხურის ქვეშ სამმაფიანი დიუკერის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. მისი სიგრძე 300 მეტრია. ასეთივე დიუკერი შენდება მდინარე ციხის ქვეშ. მაგვარი სამუშაოები გაჩაღებულია ნოღელაზე. სამივე მდინარეზე დიუკერის ზევით ეწყობა საცალფეხო ხიდი მდინარეების გაღმა-გამოღმა მიმოსვლისათვის.

ᲖᲐᲚᲘᲡ ზღვის სანაპიროზე 5 ათასი ჰექტარი ამოსაშრობი ფართობია. ამ მასივის თვითდინებით დაშრობა შეუძლებელია მისი დაბალი დონის გამო. ეს ფართობები რომ დაშრეს, მდინარე ციაზე გათვალისწინებულია მძლავრი სტატუმბავი სადგურის მშენებლობა, რაც 1967 წელს დაიწყება. ეს სადგური წამში 45 კუბმეტრ წყალს ტექნიკურად გადაადგილებს მდინარე ხობში. ციაზე აშენებული სტატუმბავი სადგური სწორედ იმ 40 კილომეტრი სიგრძის არხსაც მოემსახურება, რომელიც მდინარე რიონის პარალელურად გაპყავთ. ამით 40 ათასი ჰექტარი ძველი ფართობი და 5 ათასი ჰექტარი ახალათვისებული ფართობი უზრუნველყოფილი იქნება გარანტირებული წყალმიმღებით.

ტრესტ „კოლხიდმშენის" კოლექტივი 14 ათას ჰექტარზე რწყვის სამუშაოებსაც აწარმოებს. სარწყავი სისტემები გაკეთდა მოქვის, აჩიგვარის, დურიფშის (აფსაზეთის ასსრ), წულუკიძის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, აბაშისა და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეობებში (ხელოვნური დაწვიმების სტაციონარული და პოზიტიური სისტემებით). დღისათვის გასარწყავებულია 6 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციები.

მომდინარე ხუთწლედში გასარწყავდება 14 ათასი ჰექტარი. ხუთწლედის პირველ წელს წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში 600 ჰექტარზე და ნასაკირალში (მახარაძის რაიონი) 800 ჰექტარზე მოეწყობა სარწყავი სისტემა. ამჟამად მიმდინარეობს მილების ჩაწყობა და დამონტაჟება.

გარდა აღნიშნული სამუშაოებისა, ტრესტ „კოლხიდმშენის" კოლექტივი აწარმოებს (წულუკიძის, სამტრედიისა და ეგეგეკორის რაიონებში), სარწყავი სისტემის (25 ათასი ჰექტარი) სათავენაგებობის მშენებლობას მდინარე ცხენისწყალზე სოფელ მათხოჯში. შეფარულებულია 20 ათასი კუბმეტრი ბეტონის და 27 ათასი კუბმეტრი კლდის სამუშაო.

ამ დიდ მშენებლობას საქმის ცოდნით ხელმძღვანელობენ უბნის უფროსი ბ. ბაბანიძე-ძე და უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ბ. ჩხენკელი.

კოლხიდა არტეზიული ქვეშით დაიქსელა. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევა კოლხიდაარტეზიოს ბურღვითი პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ენერგიული ინჟინერ-გეოლოგი ვ. სიხარულიძე. კოლხიდაში დღემდე ამ პარტიამ ასზე მეტ ადგილას ამოიყვანა წყალი 1.600-2.000 მეტრი სიღრმიდან.

კოლხიდის ამოშრობისა და ათვისების ტემპი დღითიდღე მატულობს. ეს კარგია, მაგრამ სამწუხაროა, რომ მშენებლები ყოველმხრივ უზრუნველყოფილი არ არიან საჭირო საშენი მასალებით.

ტრესტი „კოლხიდმშენის", მექანიზაციისა და სხვა საქმართველოები კოლხიდაში მოთავსებული, ადგილზე ოპერატიულად ხელმძღვანელობენ საქმეს, მაგრამ ხშირად საპროექტო ორგანოების დაუდევრობით (პროექტის უქონლობით) სამუშაოები ფერხდება. კოლხიდაში საპროექტო ინსტიტუტის ფილიალი მაინც უნდა იყოს.

კოლხიდაში რკინა-ბეტონის სამუშაოები ბევრია, ამიტომ სასურველი იქნებოდა რკინა-ბეტონის ერთი დიდი ქარხნის აშენება ქ. ფოთში. ამ საქმეს კი ისევ პროექტის უქონლობა აფერხებს.

ხუთწლედით დასახული ამოცანების შესასრულებლად სამშენებლო ბაზებია საჭირო ფოთში, გალში, ქვალონში, აბაშასა და ლანჩხუთში. ამ ბაზების მშენებლობაზე უნდა შედგეს პროექტები, რომ მომავალი წლიდან მაინც დაიწყოს ბაზების მშენებლობა.

კოლხიდის სამუშაოებში გზები უგარგისია. ჭაობებში შოფრებს მუშაობა უძნელდებათ, ხშირად მწყობრიდან გამოდის მანქანები. მანქანებისა და მიწისმთხრელი მექანიზმებისათვის სათადარიგო ნაწილები არ იშოვნება. ასევე ცუდად მარაგდებიან ხე-ტყის მასალით.

ძველი კოლხიდა სულ უფრო და უფრო ცოცხლდება, ჩნდება ახალი დასახლებანი. ახალი ადამიანები სახეს უცვლიან მას. კიდევ რამდენიმე წელი, და ბაღნარად ქცეული კოლხიდის ველები მთლიანად ჩადგება ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში.

გ. ნოდია.
„კომუნისტის" საკ. კორ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ: მაგისტრალური არხის რეკონსტრუქცია კოლხიდაში. ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐᲓ!

• ᲕᲐᲠᲚᲐᲛ ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐᲡ ᲬᲚᲝᲕᲜᲐᲡ

მეცნიერული ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ და მოქალაქე

ᲔᲠᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ნიჭის პატრონი პროფესორი ვარლამ თოფურია მრავალმხრივი და დიდად ნაყოფიერი მეკვლევარია, რომელმაც თავდადებული შრომისა და შეუნელებელი ენერგიის წყალობით დიდი ამაგი დასდო ქართველურ ენათა შესწავლის საქმეს. კარგად ცნობილია მისი შტუდიები ფონეტიკური საკითხების შესახებ, აგრეთვე მორფოლოგიისა (ცერძოდ, სიტყვაწარმოების დარგში) და სინტაქსისა.

3. თოფურიას ადრინდელი ნაშრომები ეხება ქართული დიალექტოლოგიის საკითხებს. მან შეისწავლა დმანისის რაიონის ქართული სოფლების მცხოვრებთა მეტყველება, აგრეთვე ქართლის ზოგიერთი კუთხე იქაური მეტყველების გამორკვევის მიზნით და უძღვნა მათ მშვენიერი გამოკვლევები. მისი მუშაობა ამ მიმართულებით დაგვირგვინდა დიდი ტომის გამოცემით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ფასდაუდებელი ვ. თოფურიას ნაშრომები სვანურის შესახებ, უპირველეს ყოვლისა მისი გრამატიკული აღნაგობისა. ვ. თოფურიას „სვანური ენა. I. ზმნა" (1931) ნიმუშია ზმნის რთული საკითხების დაკვირვებული კვლევისა ყველა კილოს ჩვენებათა გათვალისწინებით. ავტორი ამზადებდა ამ ძვირფასი ნაკვლევის ახალ გამოცემას, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა. ამას გარდა, კარგად ცნობილია ვ. თოფურიას თანაავტორობით გამოსული სვანური ტექსტები, რომელსაც ქართული თარგმანიც ახლავს.

3. თოფურიას მოღვაწეობაში დიდი ადგილი უჭირავს მის ყოველდღიურ ზრუნვას სკოლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. მან რამდენიმე წერილი უძღვნა მშობლიური ენის სწავლების საკითხებს სკოლაში. საყოველთაოდ ცნობილია მისი აქტიური მონაწილეობა სასკოლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოებიდ შედგენაში. რამდენჯერმე გამოიცა. მისი თანაავტორობით შედგენილი სხვადასხვა სახის ლექსიკონი — ქართულ-რუსული, რუსულ-ქართული და ორთოგრაფიული. სკოლისავე ინტერესებს ემსახურება ვ. თოფურიას „ქართული წერის დედანი", რომელიც რამდენჯერმე გამოიცა.

3. თოფურიას ფართო სალექსიკონო ინტერესების მაჩვენებელია მისი მონაწილეობით შედგენილი დიდი (სამტომიანი) რუსულ-ქართული ლექსიკონი და მისი რედაქციით გამოქვეყნებული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" III ტომი (1953). კიდევ უფრო დიდი მუშაობა აქვს მას გაწეული ჯრაფლის სკვანური ლექსიკონის შესადგენად, რომლის დასრულება და გამოცემა, სამუშაოდ, არ დასცალდა მას ინიციატორსა და სულის ჩამდგმელს.

3. თოფურიას ფართო საენათმეცნიერო ინტერესი გასცდა ქართველური ენების ფარგლებს. იგი წარმატებით იკვლევდა ლაური ენის საკითხებს.

ძნელია შეურიგდეს კაცი იმ ფაქტს, რომ აღარა გვყავს ვარლამ თოფურია, დიდი მეცნიერი, ჩინებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. რომელსაც დიდ სამეცნიერო გაქანებასთან ერთად ამშვენებდა თავაზიანობა და თავმდაბლობა, რომლითაც იგი ყველას ხიბლავდა.

ულმობელმა ხენმა მაშინ მოკვეთა ვ. თოფურია, როცა საუცხოოდ გაფურჩქნა მისი საოცარი ნიჭი და კვლევაძიების ძალა, როცა იგი გმირულად განაგრძობდა ახალ-ახალი ღირებულების შექმნას მეცნიერულ სიწმინდესთან და ჭეშმარიტების ძიებასთან.

საუკუნო განსვენება მარად უჭვნობა სახელის მქონე ადამიანს!

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲧᲐᲣᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲘ

ᲧᲝᲠ კიდევ ამ ოცდაათი წლის წინათ წერდა ივ. ჯავახიშვილი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. იოსებ ყიფშიძის, პროფ. აკ. შანიძისა და პროფ. გ. ახვლედიანის ღვაწლს შეადგენს. მოკლე ხანში მათ გვერდში ამავე უნივერსიტეტის საენათმეცნიერო დარგზე გაწვრთნილი მკვლევარნი ამოუდგნენ: არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სიმონ ჯანაშია". და ეს დაწერა ივ. ჯავახიშვილმა თავის ფუძემდებელ საენათმეცნიერო ნაშრომში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", რომლის წინასიტყვაობაში ისიც წერია, რომ ამ ნაშრომის დამუშავების დროს ის სარგებლობდა მცოდნე პირების კონსულტაციით, მათ შორის ვარლამ თოფურიას კონსულტაციით.

ამ დროს ვ. თოფურია უკვე სახელმოხვეჭილი ავტორატები იყო სვანური ენის საკითხებში და მისი სადოქტორო დისერტაციის („სვანური ზმნის" (1931 წ.) რეზონანსი გასცდა საქართველოს ფარგლებს და სადაც კი ქართული და კავკასიური ენების კვლევას მისდევენ, ყველგან. მთელ მსოფლიოში. ვ. თოფურიას ეს ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნს წარმოადგენდა.

ვ. თოფურიას სამეცნიერო ზრდოქმედებაზე არაერთი გამოკვლევა დაწერილა და ამ გამოკვლევებში ნათელყოფილი იქნება, რომ ვ. თოფურიამ ქართული და ქართველური ენათმეცნიერების მრავალ საჭირბოროტო საკითხს შუქი მოაფინა. მისი „ორმაგი უარყოფა ქართულში" (1923), „გეოგრაფიული სახელთა ეს სუფიქსისათვის ქართულში" (1924), „ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი" (1929) და ბევრი სხვაც შეეხება „ქართული გრამატიკის საფუძვლებში" როგორც ურყევ დებულებათა შემცველი ნარკვევები.

მე, ჩემი მხრივ, შემიძლია ვაღიარო, რომ ვ. თოფურიას სქემამ აწყოს თეატური წარმოების სუფიქსების შესახებ (ა, ავ, ამ; ებ, ევ, ებ; ობ, ოვ, ობ) შემაღლებინა ეჯიერ, ვიდრე სხვა მკვლევარებს აქვთ, დამფლაგებინა ბრძოლაში ზმნ. ზედი კლასი აწყოს წარმოების მიხედვით.

რომელი ერთი დაასახელოს „ადამ! რასაც ვ. თოფურიამ მოაკიდა ხელი, მისმა მადლიანმ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲐᲛᲑᲐᲒᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲒᲘ

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲤᲝᲠᲘ

• ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ •

ᲓᲦᲔᲗᲘᲡᲣᲚᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡᲗᲐᲜ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲔᲠᲗᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲗᲐᲜ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡᲗᲐᲜ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲔᲠᲗᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲗᲐᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ „ᲘᲙ-ᲑᲘ-ᲡᲘ“ ᲓᲐ „ᲡᲘᲜ-ᲑᲘ-ᲘᲣᲚᲘ“.

ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲒᲐ.

ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲕᲔᲚᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲡᲢᲣᲓᲘᲝᲡ „ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲐᲓᲘᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 1944 ᲓᲐ 1949 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲝᲛᲪᲚᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲤᲣᲠᲗᲓᲐ.

ᲣᲐᲮᲚᲝᲡᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ, ᲣᲪᲮᲠᲝ ᲡᲐᲯᲔᲓᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲝᲛᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲘᲗᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲘᲠᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲘᲗᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲘᲠᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲚᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲚᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲐᲚᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜ